**საჯარო სამართლის იურიდიული პირი -**
**ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის**
**აკადემიური საბჭო**

# დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 03

ქ. ბათუმი 18 იანვარი, 2018 წ.

**საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტზე ასისტენტ პროფესორის აკადემიური თანამდებობების დასაკავებელი კონკურსის ჩატარების მიზნით საკონკურსო კომისიის შემადგენლობისა და უფლებამოსილების ვადის განსაზღვრის შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე-8 მუხლის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N04 გადაწყვეტილების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2017 წლის 14 დეკემბრის №01-08/101 ბრძანებისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის, მარინა ქორიძის სამსახურეობრივი ბარათის (MES 3 18 00047699, 18.01.2018) საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

## დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2017 წლის 14 დეკემბრის №01-08/101 ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის ჩატარების მიზნით დამტკიცდეს საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1) **მარინა ქორიძე** - პროფესორი, *კომისიის თავმჯდომარე*;
2) **სოფიო ბერიძე** - პროფესორი, წევრი;
3) **კახაბერ ქაშიბაძე** - პროფესორი, წევრი;
4) **სალომე ღლონტი** - პროფესორი, წევრი;
5) **რუსუდან ხუხუნაიშვილი** - პროფესორი, *კომისიის მდივანი.*

2. საკონკურსო კომისიის მუშაობის უფლებამოსილების ვადა განისაზღვროს **2018 წლის 23 იანვრიდან 26 იანვრის ჩათვლით** (კონკურსის შედეგები უნდა გამოქვეყნდეს არაუგვიანეს **2018 წლის 29 იანვრისა**).

3. უფლებამოსილების განხორციელებისას კომისიამ იხელმძღვანელოს ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N04 გადაწყვეტილებით, *„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2017 წლის 14 დეკემბრის №01-08/101 ბრძანებითა* და წინამდებარე დადგენილებით.

4. წინამდებარე დადგენილება სახელმძღვანელოდ და აღსასრულებლად დაეგზავნოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტსა და საკონკურსო კომისიის წევრებს.

5. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოც. პროფესორი **მერაბ ხალვაში**